საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №51/ნ
2018 წლის 24 აპრილი

ქ. თბილისი

„სსიპ – გია მოსეშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლისთვის და სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბის №1 საჯარო სკოლისათვის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელების მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ III, 26.09.2005) დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ – გია მოსეშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლას მიენიჭოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სოფელ ქვემო ბოდბის სახელი.

მუხლი 2

სსიპ – გია მოსეშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს სსიპ – გია მოსეშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოდბის საჯარო სკოლა.

მუხლი 3

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ III, 26.09.2005) დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სოფელ ბოდბის სახელი.

მუხლი 4

სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბის №1 საჯარო სკოლის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა.

მუხლი 5

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, 112, 26/09/2005) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის:

ა) მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4	გია მოსეშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოდბის საჯარო სკოლა	სოფელი ქვემო ბოდბე	დაწ-საბ-საშ

ბ) მე-20 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

20	სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა	სოფელი ბოდბე	დაწ-საბ-საშ

მუხლი 6
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**